



მოგესალმებით,

ეროვნულმა ბანკმა მონეტარული პოლიტიკის მორიგი ანგარიში წარადგინა, რომელშიც დეტალურად არის განხილული ჩვენი პროგნოზები და მიმდინარე მაკროეკონომიკური მდგომარეობის ანალიზი. ასევე ამომწურავადაა ახსნილი მონეტარული პოლიტიკის მიმდინარე გადაწყვეტილების საფუძვლებიც.

მიმდინარე მწვავე გეოპოლიტიკური მოვლენების ფონზე, 2022 წელს გლობალური ეკონომიკური აქტივობა სუსტი იყო. უკრაინაში მიმდინარე ომმა საერთაშორისო ბაზრებზე ენერგორესურსებისა და საკვები პროდუქტების მკვეთრი გაძვირება გამოიწვია. ეს კი, გლობალურად მაღალი ინფლაციური წნეხის მიზეზი გახდა, რასაც რიგ ქვეყნებში ცენტრალური ბანკების მიერ საპროცენტო განაკვეთების ზრდა მოჰყვა. რუსეთის უკრაინაში შეჭრის შემდეგ, გამკაცრებული ფინანსური პირობების ფონზე, გლობალური ეკონომიკური ზრდის პერსპექტივები მნიშვნელოვნად გაუარესდა.

მეორე მხრივ, აღსანიშნავია, რომ მიმდინარე გეოპოლიტიკურ ვითარებას მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნებზე არაერთგვაროვანი ზეგავლენა აქვს. ჩვენი რეგიონის ქვეყნებსა და, მათ შორის, საქართველოში, მისი გეოგრაფიული მდებარეობის გამო, საგარეო შემოდინებები მოსალოდნელზე ძლიერია. კერძოდ, რეგიონის ქვეყნებიდან მიგრაცია და ფულადი გზავნილები მკვეთრად გაიზარდა. შედეგად, 2022 წელს საქართველოში ეკონომიკური აქტივობის ზრდა მოსალოდნელთან შედარებით მაღალი, 10.1%, დაფიქსირდა.

როგორც დიაგრამაზეა ნაჩვენები, ეროვნული ბანკის პროგნოზით, 2023 წელს ეკონომიკური აქტივობის ზრდის ტემპი 4% იქნება. ამას საგარეო შემოდინებების ნორმალიზება, წინა წლის რეალური მთლიანი შიდა პროდუქტის მაღალი ზრდის საბაზო ეფექტი და, ასევე, მკაცრი მონეტარული პოლიტიკა, ბოლო დროს ამოქმედებული მაკროპრუდენციული ინსტრუმენტები და ფისკალური კონსოლიდაცია განაპირობებს. თუმცა, მეორე მხრივ, გეოპოლიტიკური მდგომარეობის ეტაპობრივი დასტაბილურება და გაურკვევლობის შემცირება განწყობებს გააუმჯობესებს, რაც ინვესტიციებსა და მოხმარებას ზომიერი ეკონომიკური ზრდის წამყვან ძალად აქცევს.

თუკი სურსათის საერთაშორისო ფასების ინდექსს შევხედავთ, საერთაშორისო სასაქონლო ბაზრებზე, მიწოდების ჯაჭვების აღდგენის კვალდაკვალ, ფასების ეტაპობრივი შემცირების ტენდენცია გამოიკვეთა. ამავდროულად, მცირდება

საერთაშორისო ტრანსპორტირების ღირებულებაც. ეს დინამიკა საქართველოს ბაზარსაც გადმოეცემა.

რაც შეეხება ინფლაციას, საქართველოში ინფლაციამ პიკი გადალახა და მას ბოლო პერიოდში შემცირების ტენდენცია აქვს, რაც, ძირითადად, იმპორტირებული საქონლის ინფლაციის კლებას უკავშირდება. ინფლაციის შემცირებას გამკაცრებული მონეტარული პოლიტიკა, ფისკალური კონსოლიდაცია და გამყარებული გაცვლითი კურსიც უწყობს ხელს.

უნდა აღინიშნოს, რომ, პოზიტიური ტენდენციების მიუხედავად, გაურკვევლობა კვლავ მაღალია. ინფლაცია იკლებს, თუმცა ის ჯერ კიდევ მაღალ ნიშნულზეა. 2022 წლის დეკემბერში სამომხმარებლო ფასების საერთო დონე წლიურად 9.8%-ით გაიზარდა. საბაზო ინფლაცია, რომელიც სამომხმარებლო კალათიდან სურსათის, ენერგომატარებლებისა და სიგარეტის მაღალი მერყეობით გამორჩეულ ფასებს გამორიცხავს, მთლიან ინფლაციაზე ნაკლებია და 6.8%-ს შეადგენს. ინფლაციურ რისკებს ის ფაქტიც ამწვავებს, რომ პოსტპანდემიურ პერიოდში, როგორც გლობალურად, ასევე საქართველოში, შრომის ბაზარზე სტრუქტურული ცვლილებებისა და მაღალი ინფლაციის ფონზე, ხელფასები იზრდება. ბოლო პერიოდში, ხელფასები პროდუქტიულობაზე მეტად იზრდება, რაც შრომის ბაზრის მხრიდან ინფლაციურ ზეწოლას საყურადღებოს ხდის.

მაღალინფლაციური გარემოს პირობებში რისკების გათვალისწინებით, ეროვნული ბანკი ინფლაციის შემცირებაზე კონცენტრირებული რჩება და გამკაცრებულ მონეტარულ პოლიტიკას ინარჩუნებს. ეროვნულმა ბანკმა 1 თებერვლის სხდომაზე მონეტარული პოლიტიკის განაკვეთი უცვლელად, 11%-ზე, დატოვა. გამკაცრებული მონეტარული პოლიტიკა, საშუალოვადიან პერიოდში, ინფლაციას 3%-იან სამიზნე მაჩვენებელთან დააბრუნებს. მონეტარული პოლიტიკის განაკვეთი ეტაპობრივად და მხოლოდ მას შემდეგ შემცირდება, რაც ინფლაცია მიზნობრივ მაჩვენებელს დაუახლოვდება. გასათვალისწინებელია, რომ მონეტარული პოლიტიკის განაკვეთის პროგნოზი არ არის ეროვნული ბანკის დაპირება მონეტარული პოლიტიკის მომავალ გადაწყვეტილებებთან დაკავშირებით და ის, დღევანდელი ვითარებიდან გამომდინარე, მონეტარული პოლიტიკის განაკვეთის საორიენტაციო ტრაექტორიას ასახავს. გაურკვევლობა გლობალურად მაღალი რჩება, რის გამოც გლობალური ეკონომიკური მდგომარეობა მუდმივად იცვლება და ეროვნული ბანკის მიერ პოლიტიკის გაანალიზება ხელახლა ხდება, რაც საპროგნოზო მაკროეკონომიკურ მაჩვენებლებსა და, შესაბამისად, ეროვნული ბანკის მომავალ გადაწყვეტილებებზეც ახდენს გავლენას.

რაც შეეხება პროგნოზს, გამკაცრებული მონეტარული პოლიტიკისა და ინფლაციური შოკების ამოწურვის შედეგად, ინფლაცია მის სამიზნე 3%-იან მაჩვენებელს 2023 წლის მეორე ნახევრიდან დაუახლოვდება.

საქართველოს ეროვნული ბანკი მუდმივად აკვირდება ეკონომიკურ ტენდენციებს, მათი ანალიზის საფუძველზე პროგნოზებს აახლებს და დაინტერესებულ საზოგადოებას მონეტარული პოლიტიკის განახლებულ ანგარიშს წარუდგენს.

გმადლობთ ყურადღებისათვის!